სარჩევი

რა არის ახალი 2

ავტომატური ფასდაკლებები ტრანზაქციის თანხების მიხედვით 2

ზოგადი აღწერა 2

ლოიალურობის ბარათზე ტრანზაქციების თანხების დაგროვება 2

ავტომატური ფასდაკლებების აწყობა 3

ანგარიშგება - ლოიალურობის ბარათის ტრანზაქციის თანხები 4

გაყიდვების დამხმარე 4

გასწორებული შეცდომები 5

სხვა მოდიფიკაციები 5

ბალანსის რელიზი_1.3.8.11

18.09.2024

რა არის ახალი

ავტომატური ფასდაკლებები ტრანზაქციის თანხების მიხედვით

ზოგადი აღწერა

პროგრამა ბალანსში დაემატა ახალი ფუნქციონალი, რომლის საშუალებითაც შესაძლებელია ავტომატური ფასდაკლებების აწყობა ლოიალურობის ბარათის ჭრილში გახარჯული თანხების მიხედვით.

ფუნქციონალის გამოყენებისთვის აუცილებელია, რომ ადმინისტრირებიდან (ადმინისტრირება >>> გაყიდვები) ჩართული იყოს ალმები - **ავტომატური ფასდაკლებები** და **ლოიალურობის ბარათის გამოყენება**.

ლოიალურობის ბარათზე ტრანზაქციების თანხების დაგროვება

ლოიალურობის ბარათზე თანხების დაგროვება შესაძლებელია მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ბარათის ტიპზე, ლოიალურობის პროგრამის ჩანართზე, მონიშნულია ალამი „ტრანზაქციების თანხები“.



ლოიალურობის ბარათზე დაემატება 2 რეკვიზიტი:

1. საწყისი ნაშთის თარიღი

2. საწყისი ნაშთის თანხა - ეთითება მყიდველის მიერ ბარათის ჭრილში გახარჯული თანხა, ასეთის არსებობის შემთხვევაში



ტრანზაქციის თანხების დასაგროვებლად საჭიროა რეალიზაციისას ლოიალურობის ბარათის გატარება.

ავტომატური ფასდაკლებების აწყობა

გახარჯული თანხების მიხედვით შესაძლებელია ბაზაში ავტომატური ფასდაკლების აწყობა (გაყიდვები >>> ავტომატური ფასდაკლებები).

ავტომატურ ფასდაკლებებში დაემატა ჩანართი **ტრანზაქციის თანხის მიხედვით**. ფასდაკლების გამოსაყენებლად აუცილებელია მიეთითოს ლოიალურობის ბარათის ტიპი, რომელსაც მონიშნული ექნება ალამი „ტრანზაქციის თანხები“.

ცხრილში შესაძლებელია გახარჯული თანხების მიხედვით ფასდაკლების პროცენტის აწყობა.



მაგალითად, თუ ბარათზე დაგროვილი ტრანზაქციის თანხა შეადგენს 1000 ლარს, რეალიზაციისას გავრცელდება 10%-იანი ფასდაკლება,
2000 ლარის შემთხვევაში - 20%,
3000 ლარის და მეტისთვის - 30% ფასდაკლება.

ანგარიშგება - ლოიალურობის ბარათის ტრანზაქციის თანხები



ლოიალურობის ბარათი	ბარათის მფლობელი	საწყისი თანხა	ტრანზაქციის თანხა	ჯამური თანხა
ბარათი 1	სტრიქონი	1 500.00		1 500.00
ბარათი 2	სტრიქონი			
ბარათი 3	სტრიქონი	1 000.00		1 000.00
ბარათი 4	სტრიქონი	115.00		115.00
ბარათი 5	სტრიქონი	2 250.00	100.00	2 350.00
სულ		4 865.00	100.00	4 965.00

გაყიდვების მოდულში დაემატა რეპორტი, სადაც შესაძლებელია ლოიალურობის ბარათის ჭრილში ტრანზაქციების თანხებზე დეტალური ინფორმაციის ამოღება.

გაყიდვების დამხმარე

ტრანზაქციების თანხების შესახებ ინფორმაციის დანახვა ასევე შესაძლებელია გაყიდვების დამხმარეში.



ლოიალურობის ბარათის დასკანერების შემდეგ, ბარათის წაკითხვის ღილაკზე ხელმეორედ დაჭერით გამოდის ფანჯარა, სადაც ჩანს დეტალური ინფორმაცია ბარათზე დაგროვილი ქულებისა და ტრანზაქციის თანხების შესახებ.

გასწორებული შეცდომები

- გასწორებულია პროდუქციის გამოშვების დოკუმენტში სერიული საქონლის ხარვეზები, როდესაც სერიების აღრიცხვა ხდება რაოდენობით
- გასწორებულია წარმოების ხარჯების განაწილების დოკუმენტში გასანაწილებელი ხარჯის შემოსავალ-ხარჯის ანალიტიკის გატარების ხარვეზი
- გასწორებულია წარმოების ხარჯების განაწილების დოკუმენტში ხარჯის ანგარიშის შემოსავალ-ხარჯის ანალიტიკით ნაშთების გამოტანის ხარვეზი
- გასწორებულია დასაბეგრი საქონლის ჩამოწერის დოკუმენტში გადასახადების ხარჯის ანგარიშის შემოსავალ-ხარჯის ანალიტიკის გატარების ხარვეზი
- გასწორებულია მყიდველის ფილიალზე ზედნადებისა და ფაქტურის გამოწერის ხარვეზების გასწორება
- გასწორებულია დანართ „ე“-ში მონაცემების გამოტანის ხარვეზი, როდესაც ფიზიკურ პირზე გადახდა ხორციელდება შუალედური ანგარიშის გავლით
- გასწორებულია დანართ „ე“-ში მონაცემების გამოტანის ხარვეზი, როდესაც ფიზიკურ პირზე გადახდა ხორციელდება ბუღალტრული ოპერაციით თუმცა არ არის შევსებული მომსახურების სახის ველი

სხვა მოდიფიკაციები

- სავაჭრო წარმომადგენლის მონაცემების ცვლილების ასახვა მარდიში
- გაყიდვის გეგმის დადგენა ნომენკლატურის ჯგუფებისა და სავაჭრო წარმომადგენლის მიხედვით
- მყიდველების, მომწოდებლების, თანამშრომლებისა და ნომენკლატურის ცნობარების წაშლისას, მათზე მიბმული რეგისტრების ავტომატურად წაშლა
- SMS-ით და Mail-ით გადახდის გრაფიკზე დავალიანების გაგზავნის შესაძლებლობა
- გაყიდვების დამხმარეში სსა სალაროში თანხის მოძრაობის ფუნქიონალის გათვალისწინება
- განაცხადის დოკუმენტში ავტომატური ფასდაკლებების გათვალისწინება
- ლოიალურობის ბარათის ტრანზაქციების თანხების მიხედვით ავტომატური ფასდაკლებები